სამშობლო

შაბათი

30 იანვარი

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 275 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 275

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დიდის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო"-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

თაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

თავადი გიგო ივანეს ძე ერისთავი

სთხოვს ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობას რათა დაესწრონ ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის

ჩვეულებრივ კრებას,

რომელიც არის დანიშნული 31 იანვარს, დილის 9 საათზედ, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში სიების დასამტკიცებლათ და სხვა მორიგ საკითხების განსახილველად.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა № 15

წარმოდგენა № 48

ქუთაისი. „**ქართული დრამა**" ქალაქის თეატრი.

შაბათს, 30 იანვარს 1916 წ. წარმოდგენილი იქნება **მესამედ**

მოლიპულ გზაზე

მოქმედებათ ერისთავ-ხოშტარიას რომანიდან. გადმომკეთებელი—გარრიკი.

ნაწილეობას მიიღებენ: ქქ. ბეჟანიშვილი სუზანა, კავთელი ან., მდივანი მარო, ა ევგენია, დოლობერიძე ოლიმპიადა, ბბ. გვარამე ნიკო. კორიშელი პლატონ, ურიძე ანდრო, სარელი ლადო, ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარ., ხონელი შალვა.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 ს.

ისორი **შ. დადიანი.** ადმინისტრაცია „ქართ. დრამ." ამხ.-სა.

ანონსი: მზადდება **ვანო ბარველის** ახალი ისტორიული კომედია **გამარჯვებულნი.**

საზოგადოების საყურადღებოთ.

ებერვლიდან **მთავრობის განკარგულებით** სათეატრო ბილეთებზე შემოღებულ იქნება ახალი **სამხედრო ბეგარა** შემდეგის წესით:

—დან 10 შ. ღირებულ ბილეთს გადასახადი ექნება 2 შ., 10 შ—დან მანეთამდე აბაზი, მანეთიდან მანეთ-ნახევრამდე ექვსი შაური, მანეთ-ნახევრიდან ორ მანეთამდე ორი აბაზი, ორი მანეთიდან სამ მანეთამდე სამი აბაზი, სამი მანეთიდან მანეთამდე ოთხი აბაზი, ოთხ მანეთიდან ხუთ მანეთამდე ერთი მანეთი, ხუთი მანეთიდან რვა მანეთამდე რვა აბაზი, რვა მანეთიდან ათ მანეთამდე ორი მანეთი და სხვ.

ს გამო „**ქართული დრამის**" ამხანაგობა იძულებულია მისი წარმოდგენების **ფასსაც მოუმატოს.**

„ცისფერი ყანწები"

ალმანახი გამოვა 7 თებერვალს.

ელექტრო „**ამპირი**" თეატრი

ხუთშაბათიდან, 28 იანვრიდან ახალი პროგრამა.

ვნებათა ღელვა

დრამა 4 ნაწილად, გამოჩენილ ლიდა იაკორსკის მონაწილეობით.

ანონსი: სამშაბათს, 2 და ოთხშაბათს, 3 თებერვალს მხოლოდ ორი დღით ნაჩვენები იქნება **მარო კრამსკაია.** ქურული თავისუფალი სიყვარულისა. დრამა ექვს ნაწილად. უმთავრეს როლში იქნება **მოსკოვის მხატვრ. თეატრის მსახიობი თ. ვ. გზოვსკიხა.** ქართულ ცეკვას შეასრულებს გამოჩენილი მოცეკვავე ნ. ჩერნობაევისა.

ელექტრო „**რადიუმი**" თეატრი

ხუთშაბათიდან, 28 იანვრიდან ახალი პროგრამა.

ელენე პავლეს ასული და სერგო

(ძალა სიყვარულისა)

ვერბიცკაის რომანიდან 6 ნაწილად. საუკეთესო სატახტო არტისტების მონაწილ.

ანონსი: სამშაბათს, 2 და ოთხშაბათს, 3 თებერვალს ნაჩვენები იქნება დიდებული სურათი **ხმა ცხოვრებისა,** რუს. მხატვრ. დრამა 5 ნაწილათ. უმთავრეს როლს თამაშობს გამოჩენილი მსახ. ქალი ნ. ვ. პლევიცკისა.

გენერალი ფოფრი ფრონტზე. სამხედრო ქრონიკა.

განცხადება.

ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თანახმად 1915 წლის 22 ნოემბრის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა 1 თებერვლიდან 1916 წლ., ომის დასრულებამდი შემოღებულია ბეგა თეატრებსა კინემატოგრაფებსა და ყველა გასართობ საღამოზე შესასვლელ ბილეთებზე შემდეგის სახით:

ორი შაურიდან ათ შაურამდე ღირებულ ბილეთებზე—2 შაური; ათი შაურ.—1 მან.—1 აბაზი,

შემოსული ბაჟის $^2/_3$ გადაიდება ხაზინის სასარგებლოთ, ხოლო $^1/_3$ დედოფალ მარიამის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა სასარგებლოთ. ამიტომ ამ ბაჟების მიხედვით, 1 თებერვლიდან 1916 წლის ელექტრო-თეატრ „რადიუმსა" და „ამპირში" შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული იქნება შემდეგი ფასი: ლოჟა 17 შაური; 1 ადგილი 15 შაური; 2 ადგილი 10 შაური; მესამე ადგილი 6 შაური; მოწაფეებისთვის მეორე ადგილი 6 შაური; ჯარის კაცებისთვის მესამე ადგილი 1 აბაზი.

ბებია

მ. მ. კოხრეიძე ურჩის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

სტუდენტი

ფილოლოგი ამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს, ზომიერ ფასათ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე 2—4 ს.

გოსპიტლის ქუჩა სახლი ალიხანვერდიევის, ბინა ალელოვისა. თ.

კბილის ექიმი

რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქატერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქატერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერალის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღიმბულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი

ი. ჩარიძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი

ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალთა, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი

გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეთი.

შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ, ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან

პეტროგრადი. 27 იანვარი. ოფიც. ცნობა. რუსეთ-გერმანიის ბრძოლის პირი. რიგას რაიონის მარცხენა წვერით გაცხარებული სროლაა. ჩვენმა არტილერიამ ბევრგან განდევნა გერმანელების მომუშავენი დიდი აფეთქება მოახდინა ბალდონის გზატკეცილის რაიონში. დვინი-ლინგოფსურკენის რაიონში, იაკობშტადტის და დვინსკის შუა, დვინსკთან გაცხარებული სროლაა, მონაწილეობს აგრეთვე მძიმე არტილერია მეტადრე პონევეჟის რკინის გზის ორივე მხრით. გალიციაში ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით მოპირდაპირე ერთდა გლიადკი-ვორობიევკას რაიონს დიდ ნაღმებს. ზელეშჩიკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა უსეჩნო დაიპყრა და მდ. დნესტრის დასავლეთ ნაპირზე გადავიდა. ზამუშანის სამხრეთ-დასავლეთით (დნესტრზეა, ზალეშჩიკის ქვემოდ) მოპირდაპირემ უნაყოფოდ ააფეთქა ნაღმი. ნაღმმა ავსტრიელების თხრილებშივე იფეთქა და მიწა წაყარა თხრილებს. ზალეშჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით გმირულად მოიკლა მღვდელი ალექსანდრე იაზლოვეცკი, რომელიც ჯვრით ხელში მოკლულთა და დაჭრილთა აგროვებდა მოპირდაპირის სანგრების წინ.

შავი ზღვა

26 იანვარს ჩვენმა ნაღმოსნებმა ჩასძირეს სანახშირო რაიონში ოსმალების პატარა გემი.

კავკასიის ბრძოლის პირი.

ჩვენმა ჯარმა რამდენიმე პოზიციიდან განდევნა ოსმალეთის ჯარი მდ. არხავენის რაიონში.

——

დასავლეთის ასპარეზი.

28 იანვარი. ოფიციალური ცნობა. რიგის ფრონტზე დროგამოშვებითი ხდებოდა თოფებისა და არტილერიის სროლა. ჩვენი არტილერიის ცეცხლით შეჩერებულ იქნა გერმანელების მუშაობა.

შლისკოკლუზესის სამხრეთ-დასავლეთით, დვინზე ფრიდრიხშტადტის ზევით აღსანიშნავია აგრეთვე წარმატება ჩვენი არტილერიის ცეცხლისა. იაკობშტადტის რაიონში გერმანიის არტილერია უშენდა ჩვენს ბანაკს დუკერნოსთან, ლიკენგოფოზთან და რევრსუსეს შუა. დვინის რაიონში სროლა გრძელდება. ტენენლის რაიონში ჩვენს თხრილებს გერმანელები უშენდენ ყუმბარებს სულის შემხუთავ გაზებით. სვენტენის ტბის რაიონში მოხდა ჩვენთვის სასარგებლო ორი შეტაკება. ტყვეთ ვიგდეთ მტრის მზვერავთა რაზმი და იარაღი. როვნოსა და ლუცკის შუა ჩვენი ადგილების ნაწილი დაკავებულ იქნა მტრის მიერ. პებრევის აღმოსავლეთით ხელჩახელი ბრძოლის შემდეგ დავიკავეთ მაღლობი და გავმაგრდით იქ ბრძოლის შემდეგ. მოვიგერიეთ ავსტრიელების კონტრ-იერიშები ტყვედ წამოვიყვანეთ საიმპერიო პოლკის 70-მდე ჯარის კაცი. მოწინააღმდეგე ჩვენი არტილერიის ცეცხლით განადგურებულ იქნა—ვორონკიდან ზამუშინის სამხრეთ-დასავლეთით. რანანჩეს აღმოსავლეთ მაღლობზე მტერი ცდილობდა ჩვენი თხრილების დაკავებას, მაგრამ შეჩერებულ იქნენ ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით.

შავ ზღვაზე ჩვენმა ნაღმოსნებმა, ანატოლის აღმოსავლეთით გაანადგურეს 7 იალქნიანი მტრის გემი. ტყვეთ წამოვიყვანეთ ჯარის კაცნი.

კავკასიის ასპარეზი.

ჩვენმა მხედრობამ წინ წაიწია. ბრძოლით და ხელთ ვიგდეთ 200 ტყვე ასკერები. წამოვიღეთ 2 სათმარი იარაღი. სპარსეთის ქამადანის სამხრეთით ჩვენ წინ წავიწიეთ და გავანადგურეთ მტრის ძლიერი ძალა, და დავიკავეთ ქხოვენდის პოზიციები.

——

დანარჩენი დეპეში იხილე მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან.)

ბულგარეთ გერმანიითის კავშირი.

ამ რამდენიმე დღის წინათ გაზეთებში ცნობა იყო, რომ ბულგარელი ჯარები ბელგიის ფრონტზე გადაყავთო; ახლა სალონიკიდან პარიზში კოპენჰაგელი კორესპონდენტი ატყობინებს, რომ ბულგარეთის მთავარი მინისტრის როდოსლავოვის თქმით გერმანეთისა და ბულგარეთს შორის დადებული ხელშეკრულება ბულგარეთის ჯარებს თითქო არ ავალებს ბალკანეთის გარეშე სხვა ასპარეზზე მონაწილეობა მიიღონ ომში მოკავშირეების წინააღმდეგ. როდოსლავოვს უთქვამს, რომ ბულგარეთი გერმანიას დახმარებას შეპირდა მხოლოდ სერბიის საწინააღმდეგო ოპერაციაში. რაც შეეხება მოკავშირეებთან ბრძოლას, აქ ბულგარელნი ვალდებულნი არიან მხოლოდ თავდაცვის ტაქტიკა აწარმოონ და თუ მოკავშირეები სალონიკის მხრიდან გამოლაშქრებაზე ხელს აიღებენ, მაშინ ბულგარეთი დემობილიზაციას მოახდენს და მარტო მაკედონიის დასაცავად საჭირო ჯარს ამყოფებს იარაღქვეშო ბულგარეთი გერმანიის ზედგავლენას ვერ დაემორჩილება მას მხოლოდ თავის ინტერესები აქვს სახეში და სხვა არაფერიო.

ავსტრიის ჯარები ალბანეთში.

ავსტრიის ჯარების მოწინავე რაზმმა შატის სამხრეთ ნაპირებს უკვე მიაღწია. მეორე რაზმი კიდევ ადრიატიკის ზღვის ნაპირებს მიჰყვება და იგი დღეს მდუას სამხრეთით იმყოფება. მთაშავეთის რაზმებს იარაღი აართვეს და ქალაქებში შეინახეს ასე რომ მთაშავეთი და ალბანეთი დღეს ავსტრიის ხელშია.

რუმინიის პოზიცია გამოსარკვევათ.

რუმინიის მინისტრთა შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდნილა იმის გამო, რომ რუმინიამ ხორბალი ინგლისს მიჰყიდა. ეს გარემოება და სხვაც რუმინის პოზიციის გამორკვევას კიდევ უფრო აგვიანებს.

ახლა როგორც გაზეთები იუწყებიან რომ რუმინიის პოზიცია საბოლოვოთ გამოირკვეს, ამისათვის მის ერთ ცნობილ მოღვაწე დიპლომატ-პოლიტიკოსს ფილიპესკურ მიწვევის ბარათი მიუვიდა, როგორც რუსეთისგან ისე გერმანიისგანაც ფილიპესკურს გადაუწყვეტია ამ დღეებში დაათვალიეროს რუსეთის სამხედრო ძალები, რომ თვითონვე დარწმუნდეს რუსეთის ძლიერებაში შემდეგ ალბათ გერმანიის ჯარებსაც ინახულებს.

ქრონიკა

რუსეთი.

შტიურმერი ფინანსების კომიტეტის თავმჯდომარე.

ამ ფინანსიური კრიზისის დროს ფინანსთა კომიტეტის თავმჯდომარეთ გორემიკინის ნაცვლათ ახალი პრემიერი შტიურმერი დანიშნეს: ალბათ მისგან ამ სფეროშიაც მეტ გამჭრიახობას მოელიან.

სამხედრო-სამრეწველო სიეზდის მოსამზადებლათ.

სამხედრო-სამრეწველო ცენტრალურმა კომიტეტმა სრულიათ რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების სიეზდის მოწვევის წესი უკვე შეიმუშავა. მან დაადგინა, რომ ამ სიეზდზე თვითეულ საოლქო კომიტეტს უფლება ექნება ოთხი დელეგატი გამოგზავნოს, რომელთა შორის მუშათა წარმომადგენლებიც უნდა იქნენ იმ რაიონებიდან, მაინც სადაც კომიტეტში მუშათა ჯგუფი უკვე არსებობს. ამასთან სიეზდზე მიწვეულ იქნებიან სხვა და სხვა „უწყებების“, ქალაქების და ერობების წარმომადგენელნი გარდა საშუალო და წვრილი მრეწველობის წარმომადგენლებიც.

სამხედრო ბეგარა.

ინგლისში, სადაც დღემდე არავითარი სამხედრო ბეგარა არ არსებობდა, 10 თებერვლიდან ინგლისის მეფის მიერ დამტკიცებული სამხედრო კანონი ძალაში შევა. კანონით ყველა უცოლშვილო ახალგაზრდა დანიშნულ ვადამდე ვალდებულია ჯარში იმსახუროს.

ნაციონალისტური ბლოკი.

როგორც კოპენჰაგენიდან იუწყებიან პრაგაში (ჩეხიის დედა ქალაქია) ყველა ბურჟუაზიული პარტიები შეერთდენ, მათ დროებით სოციალისტებიც შეუერთდენ და ამით ჩეხებმა გერმანელთა ბლოკს ჩეხთა საერთო ბლოკი დაუპირდაპირეს. სჩანს გერმანული ფედერაცია ეროვნულ ჩაგვრას ოდნავაც ვერ ანელებს.

ცნობების გაბათილება.

ამ დღეებში გაზეთებს აუწყებენ, რომ ბერლინში და სხვაგან არეულობის დროს ბაზარზე ბრბოს წინააღმდეგ პოლიციამ იარაღი იხმარაო. ახლა ამის შესახებ „ვოლფის სააგენტო“ იუწყება, რომ ეს ტყუილია: ბაზარში სახელდახელო სათბობი. „ფეჩი“ იყო დადგმული და არეულობის დროს იგი წაიქცა, რამაც თავმოყრილი ხალხი დააფრთხო; მოხდა ჯგლეთა და ამას გამო ბევრი დაშავდაო.

ჟირა ლეიპციგში.

როგორც ვიცით ლეიპციგში ამას წინათ დიდი არეულობა მოხდა. ამ ნიადაგზე მთავრობამ ჩხრეკა-ჭერა მოახდინა და რამდენიმე სოციალისტი, რომლებიც შვეიცარიაში გამოცემულ ჟურნალის „ინტერნაციონალის“ გავრცელება შესწამა.

გადმოხვეწილთა მომწყობი სათათბირო.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ბელეცკის თავჯდომარეობით შედგა გადმოხვეწილთა ყოფა-ცხოვრების მომწყობი საგანგებო სათათბირო, სადაც „უწყებების“ წარმომადგენლებთან და გუბერნატორებთან ერთად (ამათი ხმა 15 იყო სულ 28 ხმაა). „საზოგადო მოღვაწეებიც“ იღებენ მონაწილეობას. სხდომაზე უნდა დამტკიცებიათ სამინისტროს პროექტი, რომელიც გადმოხვეწილების საქმეში გუბერნატორებს უმთავრეს ადგილს აძლევს, ხოლო „საზოგადო მოღვაწეებს“ კი ძალიან მცირე გავლენას ანიჭებს. პროექტის წინააღმდეგ ქალაქების კავშირის წარმომადგენელმა, ფედოროვმა ბევრი ილაპარაკა და ამტკიცებდა, რომ რუსეთის ცხოვრებაში „თქვენი და ჩვენის ნიადაგზე“ საზოგადო მოღვაწეებს კი არ შეაქვთ განხეთქილება—უთანხმოება, არამედ თვითონ მთავრობასო. კენჭის ყრით მთავრობის პროექტი დამტკიცდა, რადგან 28 ხმიდან საზოგადოების წარმომადგენელთ მხოლოდ 13 ხმა ჰქონდათ.

ჩხრეკა და დაპატიმრება ხარკოვში.

ხარკოვიდან იუწყებიან: იქ 23 იანვარს ჟანდარმთა სამმართველოს განკარგულებით ბევრი ბინა გაჩხრიკეს, განსაკუთრებით სტუდენტების, რომელთაც „წრეებში“ მაცადინობას აბრალებდენ, ბევრი მათგანი დაატუსაღეს და ციხეში გაგზავნეს.

სამხედრო სამრეწველო კომიტეტის მუშა წევრის დატუსაღება.

მოსკოვის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მუშა წევრმა ჩორნოგორედცევმა კომიტეტს განუცხადა, რომ ამ დღეებში დატუსაღებულ 4 მუშათა შორის ერთი, სახელ დობრ ა. როზანოვი სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის წევრია, ამიტომ კომიტეტმა მისი საქმის გამოსარკვევათ ზომები უნდა მიიღოსო. კომიტეტმა დაადგინა რომ მიიღონ ზომები და ეცადონ მის განთავისუფლებას.

სპეკულიანტ „მეცნიერის“ დატუსაღება.

23 იანვარს მოსკოვში სასტუმრო „მეტროპოლში“ პოლიციამ ქალაქის უფროსის განკარგულებით დაატუსაღა და სამი თვით ციხეში გაგზავნა ეკონომიურ მეცნიერებათა „კანდიდატი“ (ხარისხია მეცნიერული) ვიღაც ნ. შტერნი, რომელსაც პურის ფქვილი მეტათ აწეულ ფასებში გაუყიდა.

უკანასკნელი ცნობები.

რიგრიგად რუმინეთი დიდძალ ფქვილს აწვდის გერმანეთსაც და ინგლისსაც. ამ უკანასკნელთან რუმინეთმა მოლაპარაკება გამართა საგარეო სახელმწიფო სესხის ასაღებად

— —

რუმინეთის ოფიციალმა წრეებმა ავსტრიისთან მოლაპარაკება გამართეს, რომ საბოლოოდ გამოარკვიონ მისაღები კომპენსაციის ხასიათი და რაოდენობა. მოლაპარაკება ჯერ არ დამთავრებულა. ფიქრობენ, ამ მოლაპარაკებას რამე დადებითი შედეგი მოჰყვება.

——

სარწმუნო წყაროებიდან ცნობები მოვიდა, რომ სუეცის არხს იცავენ და სდარაჯობენ იაპონიის წყალქვეშა ნავები.

——

ცნობები მოვიდა, რომ იტალიელთა რაზმმა ჩრდილო-ალბანეთი დასტოვა.

——

ბერლინი დემონსტრატიულათ ემზადება ოთხ დედოფლის მისაღებად. ამ მზადებაში მონაწილეობას იღებს ბერლინის არა ოფიციალური საზოგადოებაც. კონგრეზზე ჩამოდიან შვეციის, ნორვეგიის, ბულგარეთის დედოფლები და დედოფალი საბერძნეთისა, იმპერატორ ვილჰელმის და.

— —

საბერძნეთის სკუპშჩინა გაიხსნა რომის სასტუმროში.

——

გერმანეთის მთავრობამ აკრძალა სასალუქო ძვირფასი საგნების შემოტანა.

——

„ნოვოე ვრემია“ მოითხოვს სპარსეთის შემუსვრას, რომ ამით საბოლოოდ გადაიჭრას თვით რუსეთის სამხრეთის პრობლემები და მიზნები.

——

„რუსკია ვედომოსტში“ კიროვი ეხება ოსმალეთის ასპარეზს და სწერს: გაზაფხულის სამხედრო ოპერაციების სული დატრიალდა, დიდი ამბებია—მოსალოდნელიო.

— —

წითელი ჯვრის გამგეობა წინააღმდეგია ახალ-ახალი საეროზო ლაზარეთების გახსნისა.

— —

სახელმწიფო სათათბიროში შტიურმერის შემდეგ გამოვა პროგრესიული ბლოკი დეკლარაციით, რომ აუცილებელია ბლოკის პროგრამაში აღნიშნულ რეფორმების განხორციელება. პროგრესიული ბლოკის შემდეგ სათათბიროს ფრაქციები თავთავის დეკლარაციით გამოვლენ. ადგილი ექნება მიმდინარე პოლიტიკური მომენტის გაკრიტიკებას და შეფასებას.

(„საქ.“)

ქ. ქუთაისი, 30 იანვარი.

აჭარელთა მამულები. ამ დღეებში ქართულმა პრესამ მეტათ გასაოცარი ამბავი გვაუწყა: აჭარელ ქართველთა გავერანებული მამულები იჯარით იცემა და სომეხი მოიჯარადრენი რამოდენიმე თუმნათ მთელ სოფლებს იძენენო.

ჩვენ არ გაგვკვირვებია, რომ სომხობა ასეთის ყურადღებით მოჰკიდებია აჭარელთა მიტოვებულ მამულებს. აჭარლების საბედისწერო „გასამართლებაში“ მათ თავისი წვლილი აქვთ შეტანილი და რა გასაკვირველია, რომ გარდახვეწილ და დაღუპულ აჭარლების სამოთხის მსგავს მიწებს ისინი დაეპატრონონ.

ჩვენ ერთი რამ გვაოცებს. რა მილიონები შეეძინებოდა სახელმწიფო სალაროს აჭარის სომხებზედ იჯარით გაცემით, რომ ასეთის სიჩქარით და საიდუმლოებით არიგებენ გაუბედურებულ ხალხის ავლა-დიდებას? სულ ორიოდ სამიოდე ათასი მანეთი! მაგრამ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა? თუ კი ასეთი მცირე თანხით უცხო ხალხის დაპატრონებისაგან აჭარის გადარჩენა შეიძლება, ნუ თუ ქართველი ერი, რაც უნდა სუსტი იყოს მისი ეროვნული თვითშეგნება, ვერ მოახერხებდა ამ ახალი დამკირების თავიდან აშორებას?

თუ სახელმწიფოს ინტერესები თხოულობდა აჭარლების მიწების იჯარით გაცემას, ასეთი საიდუმლოება რა საჭირო იყო?

რაც მეტი მოიჯარადრე აღმოჩნდებოდა, მით მეტი საიჯარო ფული შეუვიდოდა ხაზინას. განა ხაზინისთვის სულ ერთი არ უნდა ყოფილიყო ფულს სომხის მოიჯარადრე შეუტანდა თუ ქართველი? როგორც სჩანს სალაროს ინტერესები აქ მეორე ხარისხოვანი ყოფილა.

აჭარის საკითხის ასე დაგვირგვინება ჩვენთვის მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ თუ პირველ ხანებში აჭარლების „ღალატს“ დიდი გასავალი ჰქონდა არამც თუ მმართველ წრეებში, არამედ რუსულ პრესაშიაც, დღეს უკვე მას ყველა უარყოფს და ეს სასამართლოს დადგენილებით დაკანონებულია.

ჩვენ გვეგონა, რომ მთავრობა და რუსეთის საზოგადოებაც ამის შემდეგ მაინც ხელს მიჰყოფდა გაუბედურებულ ხალხზე მზრუნველობას და ამის მაგიერ კი აჭარლების მიწა-წყალი იჯარით გაცემის სახით სომხებს ურიგდებათ.

ამ საქმის საიდუმლოება და ის, რომ აჭარელთა მამულები სომხებზე იცემა იჯარით, მეტად საყურადღებო და დამაფიქრებელი მოვლენაა....

ქართული პრესა.

გაზეთი „საქართველო“ შემდეგ საყურადღებო პასუხს აძლევს სომხურ გაზეთს „ჰორიზონს“, რომელმაც უდიერათ გამოილაშქრა ქართულ ეროვნულ-დემოკრატიულ გაზეთების წინააღმდეგ და თავისებური, ნამდვილი სომხური გულისთქმა გამოჩინა.

სამწუხაროდ საქართველ
ადგილ-ადგილ შეკრებილ
ჯერ არს“, მაგრამ მაინც საქ
თილებს პატივსცემ
დებას.

გაზეთი „საქართველო“ სწერს:

„ქართველი ნაციონალური საქმე“
მელსაც ჩვენ ვემსახურებით, სომ
თურმე „ნერვებით აფთიაქ
შთაბეჭდილებას ახდენს. თუ კი ამის
თავის დამამშვიდებელი საბუთი არ
„ჰორიზონს“, ალბად არც არის ასეთი
ბუთი და იგიც კარგადა გრძნობს,
ასეთ ადგილას მოსტოვებს, სადა
მაგიერობას ზემომოყვანილი
და სწევს.

რაც შეეხება მეორე ტაეპს—იგი
დარი აზრია: ჩვენ კარგად უწყით
სინამდვილეს და ამიტომ ჩვენს ას
საქართველოს კი არ ვეპოტინებით,
გორც სომხები ეპოტინებიან ხმის
ტორიულ ტრაპიზონს და ალექსანდრ
არამედ რეალურ საქართველოსათვის
სებით ადგილებს: თბილისის და ქუთ
გუბერნიებს გამოუყოფლივ, ბათომს,
ხუმის და ზაქათალის ოლქებს, აი
პატარა საზღვრები,

ტფილისი, ვითომც
ვერკვეთდეთ „ეგხო“ ელემენტებს
ვაანთ სახლ კარიდან. ჩვენ საზღვარს
მათსა და ჩვენს შორის და გამხოხა
დებრივი ძალა განსაზღვრულ ტერ
რაზე უნდა იყოს ქართველებისა და
გარეშე—სხვისა

საქართველო არას დროს არა სდევნიდა
ხოვლებს და არც „საქართველო“
ამას, მაგრამ საქართველო ერთგულთვის
იცავდა თავდამსხმელთაგან და ჩვენ
მარტო ამას ვქადაგებთ.

მეზობელთაგან საქართველოს მარტო
ხება სძულს. ამბობს მესამე ტაეპი.
რამ ჩვენ რომ მაგ. ოსმალეთის სამხ
ამბებზედ გამოთქმეთ ხშირად იმას,
სიც ერთი წლის შემდეგ იმეორებს
ფესორი მინასიანცი, ეს სიძულვილი?
მინასიანცს სძულს სომხის ერის
რისტები, რადგან მათ დაღუპეს სომ
და ჩვენც გვძულან ეს ავანტიურისტ

უკანასკნელ ტირადაში „ჰორიზონი“
ბა გამოთქმეულებს: „ვედდეს“ და
თვალის“ დაუნანა სახაზინო დახმარე
მოქალაქეთათვისაო ვითომ გულდამწყ
ჰორიზონს“ არ ესმის ჩვენ რა
ნა ჩვენ გარკვეულად ვარჩევდით
მატყვერობას, პოლიტიკურს
საგან და გამოთქმით, რომ სახაზ
ხმარება სამტრო ქვეყნიდან გამო
ბისათვის—პოლიტიკური ნაბიჯი
მეტიც გამოიწვევს ბევრს უსიამოვნებას
ხებისათვის ოსმალეთთან და ადგილ
ვე. აი ამ მთავარ განსხვავებას
ზონიც“ და ბევრი სხვანი ბანბავე
დებას არ აქცევდნენ, რამაც ჰგვა
სასურველი ნაყოფი მოიტანა.

ყველა ამის გარდა, „ჰორიზონი“
ლოკავასაც კი გვაბრალებს: ვითომ
გამოთქმით რაღაცმე (?!), „რომ
აზრად აქვთ „ეჩმიაძინი“ შეუერთონ
ჯად ავტონომიურ სომხეთს და ოსმალ
და სპარსელებს იმა გამოგზავნიაო“.
თა გვსაჭყეთ ეს ბავშური ბე, ბე, ბე,
მე, მე...“ რომ ეჩმიაძინს ტენდენ
დეს ავტონომიურ სომხეთთან შეერთ
—ეს რა დასამალია, ან ვინ დააჯერებს
მადა კიდევაც და მეორეც ვის თვალ
და იყოს პროვოკატია სპარსეთის და
ლეთისათვის ომის გამოცხადება?
წინაშე ეს დაბეზღება და პროვოკაცი
იქნება, რადგან მისი სასარგებლო
და სპარსეთის და ოსმალეთის წინაშე
პროვოკაცია გვყოფოთ, ჯერ უნდა
სულთანის ქართული ენა შეესწავლო
„საქართველო“ წაიკითხონ და ამას
ლეთ სომხებზედ თვალსაზრისი
ნინ აი თურმე რა ბავშური პროვოკა
რული იმედები ჰქონია ქართველებ

ჩ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება.

კვირას, 31 იანვარს, სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის დარბაზში, დილის 11 საათზე, დანიშნულია ახლად დაარსებულ გამომცემელ „სამშობლო“-ს ამხანაგობის წევრთა

საზოგადო კრების განგრძელება.

წევრებს გარდა კრებაზე შეუძლია დაესწროს ყველას, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობაში.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნატორმა სთხოვა ქ- ქის გამგეობას, დაუყოვნებლივ წარმო- ვნოს სამი ეკზემპლიარი იმ ჟურნა- ისა, სადაც აღნიშნულია დარჩენილი ასახლების რაოდენობა. ამასთანავე როვე სთხოვს, აცნობოს გამგეობამ, რა გააკეთა ქალაქის საზოგადო დაწესებულებებმა ხალხის გასართობების მო- ობის შესახებ.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გუ- ან უკვე წარუდგინა „ქუთაისის გუბერ- ტორს დასამტკიცებლათ 28 იანვრის ბჭოს სხდომის გადაწყვეტილება.

✦ განსაკუთრებულმა კომისიამ, ქალ- თა კავშირის ლაზარეთისათვის ქუთაი- ში, გამონახა შემდეგი შენობები ა.) სა- ლქო სასამართლოში 300 ავადმყოფის სატევი ბინა, ბ.) ქალაქის საავადმყო- 200 ავად. და გ.) გენერლის ქუჩაზე მქალაქო საქალებო სასწავლებელში 00 ავადმყოფისათვის.

✦ 31 იანვარს ქუთაისის ქალაქის მო- რავე ბ-ნი ი. მ. ჩიქოვანი გაემგზავრება ალისს, სადაც მოლაპარაკებას გამარ- ავს ქუთაისში ქალაქთა კავშირის სავად- ყოფოების გახსნის შესახებ.

✦ 31 იანვარს დანიშნულია ქუთაისის ზოგადო საკრებულოს წევრთა კრება ლი მამასახლისების ასარჩევათ და წარ- ული წლის ხარჯთ აღრიცხვის] დასამ- ტკიცებლათ.

მოვაგონებთ საზოგადოებას რომ ღეს ელექტრო თეატრ „ამპირში“ მართება (აქველმოქმედო სეანსები.

✦ ქუთაისის საგუბერნიო ციხის უფ- რო ზავადსკი გადაყავთ ამავე თანამდე- ობაზე ქ. ფოთში.

✦ გუშინ ქუთაისის ქალაქის გამგეო- ის დარბაზში შესდგა ადგილობრივ მე- ტლეების ყრილობა თავის უსტაბაშის ასარჩევათ. ერთი ხმით ამოარჩიეს მეეტლე კოსტა სვანაძე.

იანვარს ს. უშაშეტის (სენ. მაზ). ცხოვრებს მიხეილ გოგინავას დაეწვა აუზღვეველი სახლი. ზარალი 500 მანეთს ადემატება.

✦ 14 იანვარს ალექსანდრეს ქუჩაზე ცხოვრებმა ოლღა დ. გუბელაძისამ ნახა თავის ეზოში ვაშლი, რომელიც შეჭამა. საღამოს მუცელი ატკივდა და 16 ან. გარდაიცვალა. სიკვდილის წინ გუბელაძემ გაანცხადა, რომ ეს ვაშლი გადმოაგდო მის ეზოში ახლან ულახაძემ, რომელსაც მასთან უსიამოვნება ქონდა და ამიტომ ვაშლი მოწამლული იყოვო.

✦ 20 იანვარს თბილისის ქუჩაზე ცხოვრებმა მხატვარმა მიხეილ განიანმა დაანთო ცეცხლი ჟესტის ფეჩში და დაიძინა, ძილის დროს მას უგარი მოსვლია და მომკვდარა.

✦ ქუთაისის გუბერნატორი ამასწინათ დაეკითხა სოხუმის ქალაქის გამგეობას, რომელ რაიონში უნდათ ფულის შეკრება ან რამდენი ფული უნდა შეეკრიბათ ბაჯკის ძეგლისათვის. ქალაქის გამგეობამ გუშინ წარმოუდგინა სამოქალაქო საქმეთა საკრებულოს, რომ ფული შეიკრიბება ქუთაისის გუბერნიაში ერთი წლის განმავლობაში. ფულის რაოდენობა განსაზღვრულია 200 მანეთით.

✦ 8 დეკემბერს ქუთაისის ქალაქის თეატრში რუსული ტრუპა კრასნოვის მეთაურობით გამართავს ხუთჯერ გასტროლებს.

★ კვირას, 31 იანვარს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დანიშნულია ქუთაისის მაზრის თავად აზნაურთა საზოგადო კრება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ ჟამათ სალორიის შემა დარჩა გაუყიდელი 40 საფენი.

✦ ყოველ ორ-კვირეულ ჟურნალს „სახოფლო გაზეთს“ მთავრობამ გადუწყვიტა სუფსიდიათ 3,000 მანეთი. ეს ფული მიეცემა რედაქციას სამი წლის განმავლობაში ათას, ათას მანეთი. პირველ ათას მან. რედაქციამ დღეებში მიღებს.

✦ შორაპნის მაზრის უფროსი, სთხოვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას დაუყონებლივ გაუგზავნოს ამჟამათ ქუთაისში არსებული სანოვაგეზე ნიხრი.

31 იანვრიდან, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა შეუდგება სისტემატიურათ ლექციების კითხვას:

ამ დღეებში დ. ხოხატაურში მოხდება სახალხო მასწავლებელთა კრება. გასარჩევია მრავალი საკითხი რომელიც შკოლის ცხოვრებას შეეხება.

✦ კავკასიის ქალაქთა კავშირის რწმუნებულმა ნება დართო საქველმოქმედო საზოგადოებას გახსნას დ. ახალ სენაკში ლაზარეთის კავშირის ხარჯით.

კვირას, 31 იანვარს, დ. სამტრედიაში გაიმართება წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი გადიცემა ავადმყოფ მსახიობის ვალერიან შალიკაშვილის სასარგებლოთ.

✦ გუშინდელ ჩვენი გაზეთის ახალ ამბავში შეცდომით მოხსენებული იყო, რომ ქართულ გიმნაზიაში ამავე სასწავლებლის დაარსებიდან 35 წლის იუბილეს გადაიხდიანო.

სათეატრო ქრონიკა.

დღეს შაბათს 30 იანვარს ქალაქის თეატრში მესამედ წარმოდგენილი იქნება ერისთავ ხოშტარიას რომანიდან გადმოკეთებული პიესა „**მოლიპულ გზაზე**“.

ხვალ, კვირას 31 იანვარს, ვანო ბარველის ახალი ისტორიული კომედია მეფე ერეკლეს დროიდან „**გამარჯვებული**“.

მზადდება მარო მდივნის საბენეფისოდ პიესა ანტიკურ ცხოვრებიდან „**იუდის მემკვიდრე**“.

ქალაქის საბჭო.

28 იანვარი.

კრება დაიწყო ათის ნახევარზე.

თავმჯდომარეობს ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი.

თავმჯდომარე ბ ბო, დღევანდელმა კრებამ, სხვათა შორის, უნდა გადაწყვიტოს ფრიად საჭირო საკითხი ქალაქისათვის საჭირო სურსათის დასამზადებლათ სესხის აღების შესახებ. ქალაქის გამგეობა ყოველთვის ცდილობდა უზრუნველეყო მცხოვრებნი სანოვაგის მხრით. თუ როგორ შეასრულა ეს მოვალეობა ქალაქის გამგეობამ, დეე, ეს სხვამ დააფასოს. ჩვენ კი კვლავ განვაგრძობთ ზრუნვას და ამიტომ გამგეობამ დაადგინა შეიძინოს ქალაქისათვის 2 თვის საყოფი: ფქვილი, სიმინდი, მარილი, შაქარი, ნავთი და მაზუთი.

ჩვენის ანგარიშით ქალაქს დასჭირდება თვეში: 100 ვაგონი ფქვილი; 40 ვაგ. სიმინდი; 10 ვ. მარილი; 8 ვაგ. შაქარი; 8 ქვაბი ნავთი და 8 ქვაბი მაზუთი. ყველა ეს ქალაქს დაახლოვებით დაუჯდება 800,000 მანეთი.

რაც შეეხება სესხის აღების საქმეს, კერძო ბანკები თხოულობენ 7$\frac{1}{2}$%, ხაზინა კი—6%.

საურთიერთო ბანკის გამგე აცხადებს: ჩვენ თანახმა ვართ 7% ავიღოთ, ხოლო ვოლგო კამის ბანკის წარმომადგენელი თხოულობს 6$\frac{1}{2}$%.

ბ. გველესიანი: საჭიროა ვიცოდეთ, რა წესით ან ვისგან აიღო სესხი თბილისმა. ის საკითხი კი, თუ ვისგან ავიღოთ სესხი, გამორკვეულათ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც უპირატესობა უნდა მივსცეთ იმას, ვინც ნაკლებ პროცენტს მოითხოვს. მე არ ვიცი, როგორ აპირობს ქალაქის გამგეობა სანოვაგის გაყიდვის ოპერაციების მოწყობას, მხოლოდ გერმანიაში კი ასეთ შემთხვევაში დიდ საწყობებში ინახვენ სანოვაგეს და ამით აფრთხილებენ მოვაჭრეებს, ფასი არ აუმატონ საქონელზე, და უკიდურეს შემთხვევაში გაიხმარებენ როგორც სათადარიგოთ შენახულს. ამასთანავე ბ. გ. გველესიანი თხოულობს, რომ მთელი ოპერაცია გადაეცეს კოოპერატიულ საზოგადოებას.

ტ. ჯაფარიძე: საბჭოს ბევრი ყოყმანი არ დასჭირდება იმაზე, თუ ვისგან აიღოს სესხი. ცხადია ფულს ვისესხებთ იმისგან, ვინც ნაკლებ პროცენტებს მოგვთხოვს. სანოვაგის საწყობი რომ გავმართოთ და სათადარიგოთ ვიგულოთ, მაშინ ფულის 6% 12% გადაიქცევა და ვალსაც თავის დღეში ველარ გადავიხდით. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება ვაწარმოოთ ერთი ნაწილი თანხისა. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ ვინ აწარმოოს გაყიდვის ოპერაციები, ჩემის აზრით უმჯობესი იქნება ეს საქმე უფრო გამოცდილ პირებს მიენდოს

კრიტიცკი ამ საკითხზე იმ წერტილზე ვდგავართ, რაზედაც ამ ორი კვირის წინათ ვიდექი. ეს საქმე, როგორც ბ-ნმა ჯაფარიძემ ბრძანა, ორი მხრით არის გასარჩევი: ერთი სესხის აღება, მეორე საქმის მოწესრიგება. მაგრამ მე უნდა აღვნიშნო, რომ ამ განაწილებაში გამორჩენილია ფრიად საყურადღებო საკითხი. ჩვენთვის აუცილებელი არის თევზის შეძენა და წინადადებას იძლევა თევზის საკითხიც უპირველეს საკითხათ დავაყენოთო.

ეს საკითხები სასურსათო კომისიებში კი არ უნდა გარჩეულიყო, არამედ საბჭოს კომისიებში. მე არ ვიცი, სასურსათო კომისიები (ლაპარაკობს გაჯავრებით) ჩვენ ამისთვის სპეციალური კომისიები გვყავს და იქ უნდა გაირჩესო.

ი. ფანცხავა ეთანხმება ბ. ტ. ჯაფარიძის მოსაზრებას და მოითხოვს, რომ არც ერთ ბანკს არ მიეცეს იმაზე მეტი პროცენტი, რასაც **ხაზინა** თხოულობს; ბ. ფანცხავას აზრით, ეს საკითხი, როგორც რთული, საჭიროა ჯერ კიდევ გადაეცეს კომისიას დასამუშავებლათ

გველესიანი ჯერ პრინციპიალურათ გადავსწყვიტოთ სესხის აღების საკითხი, და შემდეგ, თუ როგორ მოვაწყოთ გაყიდვის საქმე—ეს კითხვა კომისიას გადაეცესო.

ბ. არდაშვილიც ეთანხმება ბ. გველესიანს.

ბარათაშვილი წინააღმდეგია საკითხის კომისიებში ხელმეორეთ გადაცემისა და მოითხოვს საკითხის დაუყონებლივ გადაწყვეტას

თავმჯდომარე ბატონებო, ნება მომეცით ვუპასუხო კრიტიცკის. კრიტიცკი ამბობს, რომ საკითხები კომისიებში გაირჩესო. ცხადია, საკითხები ყოველმხრივ უნდა გავარჩიოთ, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, თვისი რიხიანი გამოსვლით მას სურს გვისაყვედუროს, რომ გამგეობა არაფერს იკეთებსო ამ გამოსვლით, მას სურს შთაბეჭდილება მოახდინოს როგორც საბჭოს კრებაზე, ისე გარეშე პირებზე და განსაკუთრებით ბეჭვდითი ორგანოებზე თითქოს ვინაა იმის წინააღმდეგი, რომ საკითხი უნდა დამუშავდეს. თქვენ, ბატონო კრიტიცკი, არ მოგიხდებათ იქ ყოფნა და საქმის დაცვა. საბოლოოთ გადაწყდება საკითხი ამით მე უფრო ვარ დაინტერესებული, რომ საქმე ყოველი მხრით გამოირკვეს და მეტი მასალა მქონდეს ხელში სამოქალაქო საკრებულოს სასამართლოს სხდომებზე საკითხის დასაცავათ.

კრიტიცკი მე ყოველთვის ამ ხმაზე ვლაპარაკობ და არავის წინააღმდეგობა არ მინდოდა.

თავმჯდომარე თქვენ ხშირათ იმეორებთ, რომ გამგეობა გაურბის კოლეგიალურ მუშაობას კომისიებთანო—ეს აბსურდია, სიცრუეა! პირიქით მე მოწადინებული ვარ შეერთებული ძალით ვიმუშაოთ, რომ ამ შეერთებით უკეთ გადავსწყვიტოთ მოქალაქეთა ბედ-იღბალი.

დასკვნას უკეთებს ნალაპარაკევს და პირველ აცხადებს, საკითხი კომისიებს გადაეცესო.

გ. ჩიკვაიძე ეს საკითხი უნდა გაირჩეს სანიტარულ კომისიაშიაც (საერთო სიცილი)

ტ. ჯაფარიძე ეთანხმება გრ. გველესიანს, რომ პრინციპიალურათ გადასწყვიტონ საკითხი რაც შეეხება საქმის მოწესრიგებას ეს საკითხი გადაეცეს კომისიებში დასამუშავებლათ.

ვოლგა კამის ბანკის წარმომადგენელი ურჩევს საბჭოს, სესხი აიღონ ხსენებულ ბანკიდან, რადგან ხაზინიდან ფულის მიღება 6 თვეს მაინც დააგვიანდება და ამ ხნის განმავლობაში კი სანოვაგე ისე გაძვირდება, რომ საბჭოს 20% არ ეყოსო.

ჯაფარიძე ფულის მიღებას ხაზინიდან არ დააგვიანდება, რადგანაც, ნებართვა დეპეშით მოხდებაო დასასრულ საბჭომ დაამტკიცა წარსული კრების გადაწყვეტილება საზოგადო ბანკის დაარსების შესახებ ქუთაისში. საპენსიო შტატის კომისიაში აამორჩიეს ს. ყიფიანი და დ. ნ. ლორთქიფანიძე.

კრება დასრულდა ღამის პირველ საათზე.

ა—კი.

გეტმან ჰოლვეგის სიტყვა

მიზანი ომისა.

(შემდეგი იხილე „სამშ.“ № 274).

ჩვენი მტრების ომის მიზანი და მათი მილიტარული მდგომარეობა თითქმის შეუთანხმებელი არიან.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, ჩვენი მხრით, რომ ჯეროვანი ანგარიში არ გაუწიოთ ჩვენ მინისტრთა ამგვარ განცხადებებს. აი, როგორია მდგომარეობა: რაც შეეხება ნამდვილ მდგომარეობას, დაბალ გრძნობათა გაღვიძებით სალხში იწვევენ დაუშრეტელ სიძულვილს ჩვენდამი.

ჩვენი მტრები უცდიან, მაგრამ გამარჯვება მაინც არ ელირსათ წინაღმდეგ, მარცხდებიან ყოველ დღე მილიტარულადაც და დიპლომატიურადაც.

ველარ დაუმალავენ ხალხს, რომ ჩვენ ღრმად ვართ შესული მტრის მიწაზე და გვიპყრია ხელთ ძვირფასი საუნჯეები. მაგრამ იდეია გერმანიის განადგურებისა მუდამ არსებობს ჩვენ მტრებში.

გერმანიას მოეპოვება ყოველივე, რაც კი მას სჭირია.

ჩვენი მტრები ამ იდეით აიმედებენ ხალხს, ვითომ ჩვენ სურსათი გვაკლდეს, ერთი უკანასკნელი იერიში და გერმანია ვეღარ იარსებებსო. ჩვენ რომ საკმაოდ გვაქვს ყოველივე, რაც კი ჩვენთვის საჭიროა, ამაში ყველა თანახმა ვართ. კომისიებმაც გამოარკვია ეს საკითხი; მხოლოდ საჭიროა სანოვაგის სამართლიანად დანაწილება. ამის ზომებიც არის მიღებული. ტერიტორია, რომელიც იწყება საფრანგეთში და თავდება მესოპოტამიაში არ შეიძლება დაიმშეს ან ძლეულ იქნას ეკონომიურად.

ჩვენი მტრები იმითაც იმედოვნებენ, რომ, თუ სანოვაგე არ შემოგვაკლდება ნედლი მასალა ხომ მაინც შამოგველევა. ჩვენ ყოველ მხრივ მზად ვართ ძლიერ ხანგრძლივი ომისათვის. მთელი რიგი იმ მასალებისა, რომელიც ჩვენ უცხოეთიდან მოგვდიოდა, ახლა ჩვენ ქვეყანაში მზადდება ჩვენივე საშუალებით. რაც შეეხება ლითონთ, ფიქრობდენ, რომ სპილენძი შემოგველეოდა; მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში რომ ჩვენ მოგვეპოვება აუარებელი სიმდიდრე უკვე დამუშავებულ სპილენძისა, მაშინ ამის შიში გაქრება.

დიდძალი მატყლი და ბამბა შევიძინეთ ჩვენ ბელგიისა და პოლონეთის დაპყრობის შემდეგ, ჩვენი მტრებისაგან დატოვებული. ბამბა ეხლაც მოგვდის ჩვენ დუნაით რაც შეეხება კაუჩუკს, ჩვენ ძალიან ვუფრთხილდებით. ამავე დროს ვაკეთებთ ხელოვნურ კაუჩუკსაც. მაგრამ სრულიადაც რომ შამოგველიოს, შეიძლება განა იმითი დაიმედება, რომ ჩვენ დავმარცხდებით, რადგანაც კაუჩუკი შამოგველევა.

ჩვენი მტრები. იმითაც იმედოვნებენ, რომ ხალხი შამოგველევა ბრძოლის [illegible] ზე გასაგზავნად. დეპუტატ შეიდემანი სამართლიანად აღნიშნა, [illegible] ვიმეცკუ, რომ გადამწყვეტ [illegible] ლობა მხოლოდ რიცხვს არ [illegible]

სრულიად გაუგებარია, რომ საფრანგეთმა, ამ საფრანგეთმა, რომელმაც მიიწვია დროშის ქვეშ 1916 წლის კლასი, ილაპარაკეს გერმანიის დასუსტებაზე ჯარის კაცთა მხრივ. ჩვენ ჯერ შორს არ წავსულვართ, ჩვენ მობილიზაცია არ მიგვიხდენია 45 წლიანების იქით, საფრანგეთი კი გადაშორდა ამ რიცხვს. ჩვენ დავკარგეთ არა მარტო შედარებით, არამედ აბსოლიუტურადაც ფრანგებზე ნაკლები რიცხვი მეომართა. ჩვენ 30 მილიონით მეტნი ვართ ფრანგებზე. თუმცა ჩვენ ფრანგებზე ნაკლები მეომარი დავკარგეთ, მაგრამ ჩვენ მაინც გვეჭირს ამაზე ფიქრი. ბრიანმა ილაპარაკა ფრანგების ქალებზე, აქებდა მათ თავდადებულებას, სამშობლოსათვის. ნუ თუ არიან იმისთანები, ვინც ფიქრობენ, რომ ჩვენი ქალები ნაკლებად თავდადებული არიან ან ნაკლებად უყვართ თავიანთი ოჯახი და სამშობლო. სცადონ ჩვენმა მტრებმა ჩვენი განადგურება, მაშინ დაინახვენ, რამდენად მხურვალეა სიყვარული ჩვენი სამშობლოსადმი. სიძულვილმა, რომელსაც ჩვენი მტრები თესავენ ხალხში, მიიყვანა ინგლისელი მეზღვაურები იქამდის, რომ მათ ავაზაკურად ამოჟლიტეს ჩვენი უიარაღო მეზღვაურნი.

ამ საშინელ მკვლელობაზე ინგლისის პრესამ ხმა არ ამოიღო. შეიძლება, სირცხვილით? ჩვენ არ ვიცით ინგლისელები ყოველთვის ამაყობდენ თავისი მეზღვაურებით, მათი რაინდული თვისებებით. როგორ უნდათ მათ ეხლა გაიმართლონ თავი ამ საზიზღარ მკვლელობიდან; რას ეტყვის ისტორია ჩირქ მოცხებული დიდებული ინგლისის ფლოტს?

ინგლისელებმა ომი სპორტად გადააქციეს. ინგლისურ პრესაში იყო მოთხრობილი დიდის ცინიზმით, როგორ დაახრჩო ინგლისელმა სალდათმა გერმანელი სალდათი. მოკვლა მოწინააღმდეგისა არ არის ჩვენი ჯარის კაცთათვის სპორტი ჩვენ ზიზღით ვეკიდებით ამგვარ დაბალ გრძნობათა მქონეთ. ჩვენი სალდათები ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, როგორც მატარებელნი ადამიანურ კულტურისა, და ამისათვის არიან საქებნი.

(დასასრული ხვალ).

ვილჰელმის გეგმა.

დეპეშათა სააგენტოსაგან ამ დღეებში მოვიდა ცნობა, გერმანიაში არსებულ სამი პროექტის პოლონეთის მოწყობის შესახებ. ერთი პროექტის შესახებ, რომლის ავტორებათაც ითვლებიან: ვილჰელმი, ბეტმანჰოლვეგი და ფალკენჰეინი. „ნოვ. კ.“-ს. კორესპონდენტი იტყობინება შემდეგს:

ვილჰელმი ანექსიის წინააღმდეგია დასავლეთში. აღმოსავლეთში ის მზათ არის დაკმაყოფილდეს საზღვრების გასწორებით.

აგრეთვე სურვილი აქვს გერმანიის შეუერთოს რეველი. მაგრამ ამასთანავე მას შიში აქვს რუსეთის მრავალ-რიცხოვან მცხოვრებლებისა. ამისათვის იგი ოცნებობს, რუსეთის დასასუსტებლათ, შექმნას ევროპის მეშვიდე დიდი სახელმწიფო. იმ ტერიტორიაზე, რომელიც ახლა შედის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში: პოლონეთი, ლიტვა და უკრაინა. ვილჰელმის მიერ განზრახულ სახელმწიფოს შექმნა იქნებოდა დასავლეთ სლავიანების კონფედერაცია“. (როგორც ასე უწოდებს მომავალ სახელმწიფოს თვით ვილჰელმი). ამ სახელმწიფოს მესამედს პოლონეთი შეადგენს.

ამ მომავალ სახელმწიფოში რომ შინაურ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონდეს, ვილჰელმის აზრით, უნდა დაარსებულ იქნას 3 სეიმი: პოლონელებისა, რუსებისა და ლიტველებისა სატახტო ქალაქი ახალ სახელმწიფოსა უნდა იმყოფებოდეს პოლონეთის, ლიტვისა და უკრაინის საზღვარზე. ახალ სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელშიაც უნდა იქნეს დაახლოვებით 40—50 მილიონამდე მცხოვრები უნდა შედიოდეს შემდეგი ქალაქე-

მის ლოძი, ვარშავა, ბელოსტოკი, ვილნო, ეკატერინოსლავი, და სხვა. ამ სახელმწიფოსა და რუსეთის საზღვარი უნდა იქნეს მდინარე დნეპრი და დვინა. თავისთავად ცხადია, რომ ეს სახელმწიფო ეკონომიურად დაკავშირებული იქნება გერმანეთთან და ავსტრო-უნგრეთთან.

ეს სახელმწიფო უნდა აწვდიდეს საჭირო სურსათს ცენტრალურ სახელმწიფოებს, რომლის სამაგიეროთაც მიიღებს დამუშავებულ საქონელს ასეთია პლანი კაიზერისა. (ზ. რ).

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. სერბიის ცნობა. 27 იანვარი. ავსტრიელების ჯარმა დაიკავა რა ჩვენ მიერ მიტოვებული ქალაქები, განაგრძობს შეტევას დურაცოსთან. მეთოთხმეტე სამთო ბრიგადა ალბანეთის რამოდენიმე რაზმის დახმარებით მდინარე იშმის მახლობლათ მიიჭრა მტრის დივიზიასთან, სადაც მოხდა მეტად სასტიკი სისხლის მღვრელი ბრძოლა. 20 იანვარი. სლაამის მახლობლათ მტერმა შესძლო, ამ ნაწილებში ჩვენი შევიწროება, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ძლიერმა მხედრობამ, ღამით იერიში მიიტანა მტერზე, დაიბრუნა მტრის მიერ წართმეული პოზიციები და მტერმა უკან დაიხია. ბრძოლა ხანგრძლივი არ ყოფილა, მაგრამ მეტად სასტიკი იყო. ბრძოლის ველი დაფარული იყო დახოცილ მტრის ჯარისკაცთა გვამებით. ტყვედ წამოვიყვანეთ 100 კაცამდი, უმეტეს ნაწილად ვენგრები.

27 იანვარი. დღის ცნობა. არტუაში ორივე მხრით გრძელდებოდა საარტილერიო ბრძოლა, ყველა ფრონტზე, 140 მაღლობიდან დაწყებული იზნკვილნოს გზამდი. გუშინ საღამოთი გერმანელებმა ააფეთქეს ორი ნაღმი, ლაფელის დასავლეთით გერმანელებმა შესძლეს ჩვენი თხრილების მოახლოვება, ჩვენ თხრილებიდან გამოვედით და მტერზე იერიში მივიტანეთ. მოვახდინეთ სასტიკი ბრძოლა. სომის სამხრეთით ჩვენ უშენთ მტრის თხრილებს. ვოგეზებში ხდებოდა საარტილერიო სროლა. დანარჩენ ფრონტზე ღამემ წყნარად განვლო.

პეტროგრადი. 28 იანვარი. ოფიციალური. მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ცარსკოსელოდან 28 იანვარს, მომქმედ ჯარში გაემგზავრა.

ხელს აწერს სასახლის მინისტრი გენერალ-ადიუტანტი **ფრედერიკსი**.

პროვინციის ცხოვრება.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სოფ. ჯუმათი. (გურია). კულტურულად ეს სოფელი არ არის ჩამორჩენილი სხვა მახლობელ სოფლებთან შედარებით. აქ არსებობს ერთი ორკლასიანი და ერთიც ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებლები, რომელშიაც 500 მოწაფე სწავლობს. არსებობს უფასო სამკითხველო; ორი საკრედიტო ამხანაგობა; აფთიაქი; კოოპერატიული დუქანი და სხვა. შეძლებისდაგვარათ აქაური მცხოვრებნიც ცდილობდენ არ ჩამორჩენილიყვენ კულტურულ საქმეს, მაგრამ ამ საშინელი ომის წყალობით, ხსენებული სოფელი ცუდ მდგომარეობაშია.

მუშა ხელის ნაკლებობა და შარშანდელი მოუსავლობა ძლიერ ავიწროებს მცხოვრებლებს.

ლანჩხუთი. ლანჩხუთში უკვე იჩინა თავი სიმშილობამ. ხალხი სასოწარკვეთილებაში არიან ჩაცვივნული, ფუთი სიმინდი 1 მანეთი და 10 შაური ღირს.

სოფ. პერევისა. შარშანდელ მოუსავლობის წყალობით, აქაც იჩინა თავი სიმშილმა, გლეხ-კაცობა, რომელთა მდგომარეობა ამ მხრივ უფრო [illegible], იძულებული ხდებიან ოჯახობით, მცირე სასყიდელში დაუდგენ მოსამსახურეთ მემამულეებს. კულტურულადაც ძლიერ ჩამორჩენილია ხსენებული სოფელი. გულ შემატკივარი კი არ ჩანს.

ს. ზედანი. ათას-ნაირი სასოფლო და სახელმწიფო გადასახადი, გლეხ-კაცობას უკიდურეს მდგომარეობაში აგდებს. ეს სოფელი სწავლა განათლებითაც ძალიან ჩამორჩენილია. არსებობს მხოლოდ ერთ კლასიანი სამრევლო სასწავლებელი, რაც ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მცხოვრებთა სწავლის საჭიროების მოთხოვნილებას. ისე როგორც მრავალ სხვა სოფელში სიმშილობამ აქაც იჩინა თავი.

რაჭა. შარშანდელმა ხანგრძლივმა წვიმებმა და ცუდმა ამინდებმა ძალიან დააზარალა ეს მხარე. მოსპო და განადგურა ნათესები. ფრიად დააზარალა ბაღ ვენახები. დაქცია გზები, ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. სიმშილი კარზე მიადგათ. ხსნას არსაიდან მოელიან.

ძალა ერთობაშია.

(პირველი ქართველი მოურავი ბათუმში)

მოგონება.

ქ. ქუთაისში დიდი ხანი იყო ქალაქის თავად ლუკა ნიკოლოზისძე ასათიანი და როგორც კი გააშვეს ის და ამოარჩიეს ლუარსაბ ლოლუა, იმ დღესვე მაშინდელმა გუბერნატორმა გენერალ ლეიტენანტმა შოლიკოვმა ასათიანი დანიშნა გუბერნიის სამმართველოს სოვეტნიკად.

სწორედ ერთის წლის შემდეგ ქ. ბათუმში ახალი ხმოსნები და ქალაქის თავი უნდა აერჩიათ. მე მაშინ ვმსახურებდი ქ. ბათუმის სასამართლოში.

ქ. ბათუმის მაშინდელ ქალაქის თავის მოადგილეს ალექსი კაიანდერს, არტილერიის უფროს გენერალ კლიუჩევსკის, რამოდენიმე სომხებს, როტშილდის ქარხნის მმართველს, სტანისლავ ივანესძე ზრადლოვსკის და კიდევ სხვებს ხშირად მოლაპარაკება ჰქონდათ ზრადლოვსკის კაბინეთში. ერთ ამ სხდომაზედ კანტორიდან მოსამსახურეს ლეონტს გაუგონია რომ კაიანდერი დაუსახელებიათ ქალაქის თავად, თავიანთი პარტიის კაცების სიაც შეუდგენიათ ხმოსნებათ გასაყვანად, შესახებ ქართველებისა კი უთქვამთ ისე ცოტა არიან ისინი, რომ მიკროსკოპით თუ დაინახებიანო და სხვა.

ქართველებმა რომ ეს გავიგეთ, დავკარით ბუკი და ნაღარა, შევატყობიე ყველას და საღამოს პირველი მოლაპარაკება გავმართეთ ქართულ სკოლაში. ფეხზედ დავაყენეთ ბერძნები და თათრები, რომელთაც ხმოსნების ამორჩევაში უფლება ჰქონდათ და რომლებთანაც მე კარგი განწყობილება მქონდა და ეხლაც მაქვს.

ამ ხანს ბათუმში ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწედ იყო გენერალი თავადი ნიკოლოზ ბიძინასძე ერისთავი, რომელმაც, როგორც კი უთხარით ეს ამბავი, მაშინვე დაიბარა ქართველობა, რამოდენიმე ბერძენი და თათარი თავის ბინაზე და გვითხრა ყველას: „ყოჩაღად იყავით, ერთობა გქონდესთ, ნურავის დაეჩაგვრიებით თავს და ეცადეთ მიკროსკოპით დასანახავი სხვა გახდესო".

მეორეზე დღეს ქართველები შევიკრიბეთ მელიტონ ლორთქიფანიძის ბინაზე და გადავწყვიტეთ ერთხმად: ვეცადოთ მეტი ქართველი, ბერძენი და თათარი გავიყვანოთ ხმოსნებათ. შემდეგ სხდომაზედ კი დაგვესწრენ გენერალი თავადი პროკოფი შარვაშიძე, ექიმი გიგო ელიავა, დათიკო კლდიაშვილი, ექიმი მხეიძე, მე და ნიკო დუმბაძე.

გადავწყვიტეთ: გრიშა ვოლსკი და ი. ა. ივანოვი, ქალაქის გამგეობაში აგვერჩია. მდივნათ-ი. ს. მესხი და ქალაქის თავად კი ლუკა ნიკოლოზისძე ასათიანი, რომლის კანდიდატობა მე წამოვაყენე და რომლისთვისაც ცენზიც ნაშოვნი მქონდა.

შეინძრა მთელი ქართველობა და ჩვენი მომხრენი. შევადგინეთ ამ არჩევნების მომწყობი კომიტეტი კომიტეტში იყვნენ: არტილერიის გენერალი პროკოფი შარვაშიძე, ი. მესხი, პოლკოვნიკი ნიკო დუმბაძე, გ. ვოლსკი, გ. ელიავა, დათიკო კლდიაშვილი, ლ. ქიქოძე, მ. ლორთქიფანიძე, სარდიო ქუთათელაძე, ივანე კაკაბაძე და ამ მოგონების დამწერი.

გავმართეთ ოთხი სხდომა ქართულ სკოლაში, ჩვენს მოწინააღმდეგეს კი ყოველ დღე ჰქონდათ თათბირი უკანასკნელ ჩვენს სხდომაზე, რომელზედაც არავინ გარდა კომიტეტის წევრისა არ დასწრებია, გადავწყვიტეთ რომ ბარათებით ხმოსნების კანდიდატობაზე მივსცეთ მეტი ხმა ჩვენს მოწინააღმდეგეებს, ჩვენებს კი—5 ანუ 10-ზე მეტი არა. ეს ჩვენი გადაწყვეტილება ჩუმათ გავავრცელეთ ჩვენებში. ბარათების გასარჩევათ ამოარჩიეს ასისტენტები: ლ. ქიქოძე, მე ს. მხეიძე, და სამი რუსი. როგორც კი გავარჩიეთ ბარათები ჩვენი ვნახეთ რომ ჩვენი გეგმა ასრულდა: ჩვენებს მოუვიდა 5 და 10 ხმა და ჩვენს მოწინააღმდეგეებს 370 და 400. ვერ წარმოიდგენ მკითხველო რა სიამოვნებას განიცდიდენ ჩვენი მოწინააღმდეგენი ამ ბარათების თვლის დროს. ჩვენ კი ყურები ჩამოვყარეთ. ამის შემდეგ ყრილობები მათ აღარ გაუმართავთ.

კენჭის ყრის ორი დღის წინ მოვახდინეთ ყველა ჩვენი მომხრეების ყრილობა ქართულ სასწავლებელში, სადაც ამოვარჩიეთ 20 კაცი და თითოს მივეცით 20 კაცის სია, რომელნიც უნდა მოეყვანათ მათ კენჭის ყრის დღეს, დილის 8 საათზედ.

მე და პოლკოვნიკი ფარსადან მიქელაძე პირველი მივედით დანიშნულ ადგილას, მერე მოვიდა ბერძენი ა. სტამატელი ოცი ბერძნით მას მოყვა სარდიო ქუთათელაძე, ი. კაკაბაძე და სხვები და ჯარივით ჩავრაზმენ კლუბის წინ. ამ დროს ივანე მესხმა გაიღო კლუბის კარები, და გამოვიდა ჩვენი დიდება ილია ჭავჭავაძე. ვერ წარმოიდგენ მკითხველო, ილიას დანახვამ რა ალტაცებაში მოიყვანა ჩვენი ხალხი. გაისმა ვაშას ძახილი. ივანე კაკაბაძემ და სარდიო ქუთათელაძემ დაიძახეს: დედა შეერთოს ცოლად, ვინც ჩვენგანმა ერთმანეთს უღალატოსო." ამ ვაშას ძახილზედ გამოიხედა მეორე სართულიდან ზრადლოვსკიმ, რომელიც კლუბის პირდაპირ იდგა და რომ შეხედა ჩარაზმულ ჩვენს ხალხს, კინაღამ წაიქცა. მაშინვე მოაყვანია მიხაკო ბეთანოვი, უთხრა რომ ქართველები ოსტატურად მოიქცენ, ყველას გაგვაშავებენ და და მიფაცურდი. ბ. ზრადლოვსკი ქართველ მუშას ქარხნებში უფრო მეტს იღებდა ვიდრე სხვას. და ჩვენც აღუთქვით მას გაყვანა. ბ. ბეთანოვმა ეს ჩვენი გადაწყვეტილება შეატყობია ბ. ზრადლოვსკის.

კენჭის ყრის დაწყებამდე, ართვინელმა სომხებმა გამოგვიგზავნეს მოციქულად ართვინის ოლქის უფროსის თანაშემწე ბ. ლუკა გაბუნია, რომ მათი ოთხი კაცი გაგვეყვანა ხმოსნად და ნაცვლად ამისა გვპირდებოდენ ქართველებს თეთრს მივცემთო. თუმცა მათი ხმა ჩვენ ისე საჭირო არ იყო, მაგრამ ჩვენ ვეცით პატივი ბ. გაბუნიას და აღუთქვით ოთხი კაცის გაყვანა. კენჭი რომ დაიწყო, ასისტენტები ამოირჩია ხალხმა ყუთებთან კენჭების დასარიგებლათ. ამ ასისტენტებში მოხვდენ უმეტესათ ჩვენი მომხრენი. მე მებარა ოცი ყუთი 40—60 და პროკოპი შარვაშიძეს წინა ყუთები 1—20. როდესაც ართვინელებმა აზრიფიანმა და აკინიანმა ჩაუგდო შავი დუმბაძეს, მაშინ შერვაშიძემ დაიძახა: სუფე! ართვინლებმა გვიღალატეს „მოცქვეთ, მოცქვეთ". (კარგად ვერ ლაპარაკობდა ქართულს). რასაკვირველია აგრე ადვილი არ იყო ჩვენი გაცურება და თვით ისინი ყურანივით გავხადეთ. ვიდრე კენჭის ყრა გათავდებოდა ილია ჭავჭავაძე სცენაზე ბძანდებოდა და უყურებდა, როგორ მშვენიერად იყო საქმე მოწყობილი.

შეუდგენ კენჭის თვლას და რომ მიაწიეს კაიანდერის კენჭის დათვლას, უკანასკნელმა ჩახედა და რომ დაინახა თეთრი ცოტა იყო შეწუხდა და ჩაჯდა. მის მაგიერ დათვალა პარემუზოვმა და აღმოჩნდა 70 თეთრი და 370 შავი, გენერალ კლიუჩევსკის მოუვიდა 400 შავი, ამ რიგათ გაშავდენ დანარჩენებიც, გარდა ზრადლოვსკისა, რომელსაც, როგორც აღუთქვით, 400 თეთრი მივეცით.

კენჭის ყრა გათავდა ჩვენის გამარჯვებით, ვინც დავნიშნეთ: ქართველი, რუსი, ბერძენი და თათარი ყველა გავიდა ხმოსნათ და მათში ლუკა ასათიანიც.

ამ ხმოსნების არჩევნებზე შევიდა საჩივარი გუბერნიის სასამართლოში პოდპოლკოვნიკ ტერ-ასათუროვისგან, რომელიც მაშინ დროებით იყო გამგეობის წევრად. ეს ის ტერ-ასათუროვი გახლავსთ, რომელიც ჩავიდა პეტროგრადში დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან სთხოვა პენსიის მომატება. „ორივე ხელის თითები გაფუჭებული მაქვსო და ვეღარ ვხმარობო. დიდმა მთავარმა იცოდა როგორი ვაჟბატონიც ბრძანდებოდა, შეახსენვია თითები და ჰკითხა-წინეთ როგორი გქონდაო? ასე ბატონო და თითები გაშალა.

რასაკვირველია „პენსიას" ვეღარ მიიღებდა!

საჩივარში ბ. ტერ-ასატუროვი სწერდა რომ, სუფე მხეიძემ მოკენჭეები შეისყიდა, ოთხჯერ გაუკეთებია მათ სადილიო. მე მომივიდა ქუთაისიდან ცნობა როდისათვის იყო დანიშნული ეს საჩივრები განსახილავად იმ საჩივრებს [illegible] პასუხი გავეცი და სასამართლომაც საჩივრები უყურადღებოთ დასტოვა. გამოაცხადეს, განაჩენი, რომლის ძალითაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და გაიმართა ქეიფი.

აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ქალაქის მოურავად ბევრს არ უნდოდა ლუკა ასათიანი, მაგრამ როცა იგი მაინც ქალაქის თავად გავიდა და დაამტკიცა კიდეც თავისი საქმიანობა კიდეც ბოდიში მოიხადეს:

არ ვიცოდით თუ ამისთანა ჭკვიანი და კარგი მოღვაწე იქნებოდა ასათიანიო.

მერე რა სახელი მოიხვეჭა ბ. ასათიანმა ქ. ბათუმში ეს ყველამ იცის. მის შემდეგ მოიდგეს მაგრათ ფეხი ქართველებმა ბათუმში.

სუფე მხეიძე.

რედაქტორ-გამომც. ი. ცინცაძე.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— [illegible] ს.	56 წ.
„	— საღამ.	— 6 ს.	57 წ.
ბათომიდან	— [illegible]	[illegible]	[illegible]
„	— [illegible]	[illegible]	[illegible]
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	8 წ.
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს.	39 წ.
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს.	55 წ.
„	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— დილით	— 5 ს.	30 —
„	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	— დილით	— 4 ს.	27 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	20 წ.
შორაპნისაკენ	— დილით.	— 5 ს.	— —

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახ.) საზოგადოება

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან. პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოების **დავით სიმონის ძე დოდობერიძე**.

ქუთაისის განყოფილება

ამხ.-ბა „პროვოდნიკი".

გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი

კალოშები საზაფხულო და საზამთრო ყველა არტიკულისა სრულის ამარჩევით.

საეტლო შინები საერთაშორისო მარკები „სლონ" და „სვერხ-სლონ"

და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოებისა. 30—1

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან, ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ-სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ახალებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში.

ფასი ერთი ყუთისა—5 მანეთი. სრულ განთავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

* * *

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძლოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

(წლიური) დოქტ. სტ. სოვ. ვიქენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.